# ხობის მოამბე

№10 (7170)
28 აგვისტო,
ორშაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

„ოვლითშეპარულებითა ჯერეოსი ტაბასკერია საკრებულის ყოველთვიურის სატელევიზიოს. საკუთარ უნდა ვალიანთ, ეგი ყველაფერს ხელითაც... ყოველი საფეხურიფერი, რომელიც ტრაბდი ცოდვათ თუ ბოროტად ვალაძეფანი, ნაწილი-ნაწილობა ანის ვალაყოფილი, რომ ეროვნულ ვალ ანაზეთითაც აღფილი იყოს.”


ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## გილოცავთ!

### დღეს მარიამობაა-ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში საღღესასწაულო წირვა შესრულდება.

## 12 აგვისტო—წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღე

12 აგვისტოს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.

ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, იქ, სადაც გადმოცემის თანახმად ცოტნე დადიანია დაკრძალული, წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.


5


## 8 აგვისტოს ქ. ხიმში აგვისტოს ომში დაღუპული გმირები გაიხსენეს

მემორიალთან დაღუპულთა ოჯახის წევრები, ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, სენაკის სამხედრო ბაზის ჯარისკაცები და საზოგადოების წევრები შეიკრიბნენ, გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და გარდაცვლილთა სულებს სანთლები დაუნთეს.

2008 წლის აგვისტოს ომმა 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის ხობელი ბიჭები: გოგა ბერაია, მიხეილ იოსავა, ლევან ჭოჭუა, დათა ხურცილავა, გოგა ჭითანავა, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა, გოგიტა ქარჩავა და რამაზ კიტია.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ქალაქ ხობის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მოძღვარმა დეკანოზმა კირიონმა (დარასელია) გადაიხადა.

## შოვი—საუკუნის ტკივილი...

**პატრიარქი ილია II:**

**რა თქმა უნდა, მორწმუნენი ლოცვით შეწევნას გუშინდელი დღიდანვე აღავლენენ.**

**„გთხოვთ ყველას მათ დასახმარებლად 12-ჯერ ვთქვათ: „მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა“ ამინ!**



**ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია დიდი გულისტკივილით უსამძიმრებს კურორტ შოვში ღვარცოფის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს. გამძლეობას და სულის სიმტკიცეს უსურვებს მათ.**

# ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად

**შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო–ახალგაზრდული საბჭო.**

ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს

წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ქვეყნის, როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას გარემო, რომელიც უპასუხებს ახალგაზრდების გამოწვევებს, იძლევა ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას ახალგაზრდებისათვის და ახალგაზრდებთან ერთად. ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების, მოქალაქისა თუ გენ-

დერული თანასწორობის პრინციპებს.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი ახალგაზრდული პოლიტიკის არსებობა, რომელიც ცოდნასა და კვლევის შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს.

ხობის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია, რომელიც მხარს უჭერს და მონაწილეობს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებასა და განვითარებაში.

2023 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე დაიწყო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.

მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავდა და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა „ხობის მუნიციპალუ-

რი ახალგაზრდობის განვითარების 2023–2025 წწ. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა“.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობისა და წარმატებული ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო–ახალგაზრდული საბჭო.

საბჭოს წევრების შესარჩევად შემუშავდა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცდა მერის სათათბირო ორგანოს ახალგაზრდული საბჭოს დებულება, ახალგაზრდული საბჭოს წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი და საბჭოს წევრების შესარჩევი კომისია. საბჭოს წევრები შეირჩა კონკურსის საფუძველზე.

შეიქმნა სააპლიკაციო ფორმა, რომელიც განთავსდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქ გვერდზე, სადაც 14-29 წლის ახალგაზრდებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში რეგისტრაცია გაიარა 24 აპლიკანტმა. განცხადებები განიხილა კომისიური წესით. დაგეგმილ გასაუბრებაზე გამოცხადდა 16 კონკურსანტი, საიდანაც ახალგაზრდული საბჭოს წევრთა კომისიის მიერ შეირჩა 11 ახალგაზრდა და წარედგინა მერს სარეკომენდაციოდ.

2023 წლის 17 ივლისს მერის ბრძანებით დამტკიცდა და შეიქმნა მერის სათათბირო ორგანო –ახალგაზრდული საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისგან (თავმჯდომარე მაკა კობახიძე).

ახალგაზრდული საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის სრულფასოვანი მონაწილეობა. საბჭო ფაქტობრივად ასრულებს „შუამავლის“ ფუნქციას ახალგაზრდებსა და ხელისუფლებას შორის, რომ ერთის მხრივ, ახალგაზრდების ინტერესები და საჭიროებები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხოლო მეორეს მხრივ, ახალგაზრდები ინფორმირებულები იყვნენ მიმდინარე მოვლენებისა და სიახლეების შესახებ და სარგებლობდნენ არსებული შესაძლებლობებით.

***ელისო ბასილაია, მერის სათათბირო ორგანოს ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის კოორდინატორი.***

# თანამედროვეობის მოთხოვნები და პასუხი გამოწვევებს

თანამედროვეობას ბევრი მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხები აქვს წამოწეული. ერთერთი და უმნიშვნელოვანესია ადამიანის პიროვნული, ინდივიდუალური და სოციალური განვითარების საკითხი. ამ საკითხს მეცნიერების თითქმის ყველა დარგი უთმობს ყურადღებას ირიბად თუ პირდაპირ...

ერთერთი მძლავრი მიმართულება, რომელიც ზრუნავს ჯანსაღი ადამიანის ჩამოყალიბებაზე, ეს სპორტია. სპორტი, თავისი მრავალფეროვნებით, თითქმის ყოველი ადამიანის სულსა და გონებაში აღწევს და იმორჩილებს სხეულს, აჯანსაღებს მას და უქმნის განწყობას, რომელიც გავლენას ახდენს სულიერი განწყობის ამაღლებაზე, ერთი სიტყვით, „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სული ტრიალებსო“ გამოთქმას ამართლებს... (არის შემთხვევები, როცა ეს მოსაზრება არ მართლდება, მაგრამ მას სხვადასხვა მიზეზები აქვს და ახლა ამაზე არ გადავერთვები...)

სპორტი, როგორც ადამიანის ფიზიკური გამოხატულების მადემონსტრირებელი საშუალება, საუკუნეების წინ განიხილებოდა, როგორც სპორტული კულტურის მიმართულება და ეს თვისება სძენდა მას სოციალური ერთიანობის ხასიათს, უკეთ რომ ვთქვათ, სპორტი იყო და არის მძლავრი საშუალება ადამიანთა სოციალიზაციის, ერთობის, ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის საქმეში და ასევე ადამიანის, როგორც ინდივიდის ჩამოყალიბების საქმეშიც.

თუ გავითვალისწინებთ თანამედროვეობის მთავარ გამოწვევებს, ვნახავთ, რომ ამ გამოწვევების საპასუხოდ, სპორტს დიდი გავლენა აქვს, რადგან იგი ქმნის მძლავრ სოციალურ ძალას, ერთობას, მეგობრულ კავშირებს და ზოგადად, ხელს უწყობს საზოგადოების ჰუმანიზაციას, რაც აკლია დღეს ჩვენს ყოფიერებას. ძალიან ხშირად გვესმის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან ამბები ძალადობის ფაქტებზე. ბულინგზე და ა.შ. ამის მთავარი მიზეზი აღზრდის პრობლემებშია, რა ღირებულებით იზრდება მოზარდი?! რა ღირებულებებს სთავაზობს სპორტი ბავშვებს, ახალგაზრდებს? ეს კითხვები უნდა გვაღელვებდეს დღეს.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ სპორტი მარტო პროფესიონალური სპორტის დაუფლება კი არაა, არამედ არის საკუთარი „მე“-ს გამოხატულების, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის, თანაგრძნობის და თანასწორობის, პატივისცემის და სამართლიანობის გამოხატვისა და დემონსტრირების საშუალება. ნებისმიერ სპორტის სახეობაში ადამიანის ჩართულობა, ამ გრძნობებითა და ღირებულებებით ცხოვრებას ნიშნავს და ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რამდენად მეტი ახალგაზრდა ებმება დღეს სპორტულ ცხოვრებაში, აჯანსაღებს გარემოს და რას ვაკეთებთ ჩვენ მათი სწორი არჩევანის განსავითარებლად. ეს არის ორი ძირითადი საკითხი, რომელიც განაპირობებს სპორტის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტის 11 სახეობაში მიმდინარეობს სპორტული წვრთნები. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, ვინ ხვდება ჩვენს ახალგაზრდებს სპორტულ სექციებში და ვის ხელში „ვარდებიან“ ჩვენი შვილები?!

ხობის მუნიციპალიტეტის მწვრთნელთა ნუსხას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ისინი არიან პროფესიონალი სპორტსმენები, ლიცენზირებული მწვრთნელები, ადამიანები, რომლებსაც წარმატებულად გამოუვლიათ სპორტული ცხოვრება და საკუთარი მაგალითებით აქვთ გამოცდილი ყოველი წვრილმანი, საზოგადოებაში ხასიათდებიან კანონმორჩილ, წესიერ და სანდო ადამიანებად, აქვთ მაღალი მორალური მოთხოვნები და ხასიათდებიან დისციპლინირებული ქცევებით... ჰყავთ გამოზრდილი წარმატებული სპორტსმენები და მათი პოპულარობა ხშირად სცილდება მუნიციპალურ, ეროვნულ და ევროპულ დონესაც...

ასევე გვყავს მათი აღზრდილი მსოფლიო ჩემპიონები და ოლიმპიური პრიზიორიც... ეს ყველაფერი ქმნის წარმატების წინაპირობას, თუმცა ეს არ გვიქმნის მოდუნების საშუალებას. გამოწვევების შესაბამისად, საჭიროა მუდმივი გადამზადებები, მეთოდოლოგიური თუ ფსიქოლოგიური სიახლეების მიღება და მაღალი სტანდარტებით ხელმძღვანელობა. ეს ერთი თემაა...

სპორტსმენის მომზადებისთვის დგება ასევე მნიშვნელოვანი საკითხი–სად იწრთობიან ჩვენი ახალგაზრდები?! არის თუ არა მათ საწვრთნელად ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?

ჩვენი მუნიციპალიტეტი მუდმივად მუშაობს ამ საკითხებზე და მერიის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად უმატებს ან

3

# თანამედროვეობის მოთხოვნები და პასუხი გამოწვევებს

2

რეაბილიტაციას უტარებს 2-3 სპორტულ მინი საფეხბურთო მოედანს; დღეის მდგომარეობით კეთდება ახალი ხელოვნურსაფარიანი სტადიონი თავისი განათებითა და გასახდელებით, რომელიც მოემსახურება „კოლხეთის“ როგორც ასაკობრივ, ასევე ქალთა გუნდის

წარმომადგენლებსა და მოყვარულ ფეხბურთელებს. საფეხბურთოკლუბ „კოლხეთს“ და ფეხბურთის მოყვარულთა გუნდებისთვის ფუნქციონირებს ხობის ცენტრალური სტადიონი, სარეზერვო მოედანი და საწვრთნელი მოედანი(სოფელ ხეთაში), ასევე ფეხბურთის მოყვარული გუნდებისთვის ცალკეული მოედნები სოფლებში(თითქმის ყოველ სოფელში).

სპორტის დანარჩენი სახეობებიდან კი უმეტეს სახეობას ჰქონდა საკუთარი საწვრთნელი დარბაზის პრობლემა და სასკოლო დარბაზებში ატარებდნენ სპორტულ მეცადინეობებს, რაც ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს, დისკომფორტს. არ იყო მოწესრიგებული გასახდელები, არ იყო საშხაპეები... ეს საკითხი ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლა, დაგეგმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით, მიმდინარე წლის 1 ივნისს გაიხსნა, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და სპორტსმენებისთვის ნორმალური საწვრთნელი პირობების გასაუმჯობესებლად, „სპორტის ცენტრი“–ა(ა)იპ ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციაში სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა დაიდეს ბინა. შეიქმნა ორგანიზაცია, სადაც ბერძნულ-რომაული ჭიდაობით, კრივით, ძალოსნობით, მძლეოსნობით, მკლავჭიდით, ჭადრაკით, ტაეკვონდოთი და ბილიარდით დაინტერესებულ ხობელ სპორტის მოყვარულებთან ერთად, მოემსახურებიან ფიტნესის მიმართულებითაც. შემდგომში სპორტის ცენტრი გააგრძელებს ახალ-ახალი სახეობებით ხობელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სპორტის ცენტრის შექმნა და ახალი ინფრასტრუქტურის გადაცემა სპორტული სამყაროსთვის არის საჩუქარი, შესაძლებლობა და სტიმული უკეთესი შედეგების დასადებად და სპორტსმენთა მაქსიმალური რეალიზებისა.

ვულოცავ სპორტის წარმომადგენლებს ახალი კერის გაჩენას და წარმატებულ სპორტულ მომავალს ვუსურვებ.

ასევე მინდა მივულოცო „სპორტის ცენტრის“ გახსნა ყველა იმ ადამიანს, ვინც წლების განმავლობაში ხობის სპორტის განვითარებისთვის იღწვოდა!

სპორტსმენთა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის, მათი სრული რეალიზაციის მიზანს ემსახურებოდა საკრებულოს 2022 წლის №41 დადგენილებით მიღებული მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული „წარჩინებულ სპორტსმენთა დაჯილდოების წესი“, რომელიც 2023 წლიდან ამუშავდა. ამ წესის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის ყველა წარმატებული სპორტსმენი და მისი მწვრთნელი გარკვეული ხარისხის წარმატებებისთვის ჯილდოვდება შესაბამისი დაწესებული ფულადი ჯილდოთი, რაც არის ერთგვარი სტიმული და მოტივაცია უკეთესი შედეგების დადებისა.

ამ ეტაპისთვის დასაჯილდოებლად სპორტსმენებზე გაიცა 27 000 ლარი. წინ კიდევ ბევრი გამოწვევაა და იმედი გვაქვს ჩვენი სპორტსმენები სახელოვნად გააგრძელებენ ასპარეზობებს სხვადასხვა მიმართულებით.

მოცემული წარმატებული ნაბიჯების აღნიშვნა არ ნიშნავს, რომ ამ სფეროში პრობლემები არაა. ჩვენ წინ გვაქვს დიდი გამოწვევა 90-იან წლებში დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენის, სოფლებში მეტი სპორტული აქტივობების განხორციელების, სპორტის სახეობების სექციებში დამატებებისა და მათი შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ძალადობის, გენდერული თანასწორობის დაცვის საკითხებზე ყურადღების გამახვილებისა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების სახით. იმედი გვაქვს, რომ თანდათანობით, აქტიური და დაუღალავი შრომითა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა თანადგომით, ეს საკითხებიც მოგვარდება და მოგონებები, წარსულში ინფრასტრუქტურული ობიექტების სიუხვეს რომ გვაგონებდა, გადაიქცევა თანამედროვეობაში განხორციელებულ გაბედულ პროექტებად...

დღეს კი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების წარმატებული ნაბიჯებით ვიზეიმოთ და გავიხაროთ.

ხობის სპორტულ ისტორიას არ ახსოვს თანამედროვეობაში მიღწეული ჩვენი სპორტსმენების წარმატებების ტოლი მიღწევები, პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერისა და სწორი სტრატეგიული ხედვების გარეშე ვერ მიიღწეოდა, ამიტომ მადლობა მინდა მოვუხადო ყველას, ვინც გვერდით დაუდგა სპორტულ სამყაროს და გამარჯვებების ლამაზი ისტორია დააწერინა.

სპორტის სოციალიზაციის საკითხებზე თანამედროვეობის გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის პასუხი დღეისთვის ცალსახა და ერთგვაროვანია–მეტი წარმატებული სპორტსმენი!

მეტი ინფრასტრუქტურული პროექტები, მეტი თანადგომა და ერთობით გადაწყვეტილი საკითხები მოგვცემს სპორტის განვითარების მეტ შესაძლებლობებს და წარმატებული სპორტული ქალაქისა და მუნიციპალიტეტის იმიჯს.

***ნინა ბუკია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.***

# ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შეიმეცნე შენი სამშობლო-საქართველო“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მსოფლიოს მასშტაბით მეცნიერებისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზებისთვის აიელი რაინდისა და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩის წოდება მიენიჭათ: რევაზ პაპუაშვილს, გოგიტა ჩიტაიას, ირაკლი შონიას.

თბილისი, 2023 წელი 4 აგვისტო.

---

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებმა, ხობის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

საინფორმაციო შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის კონცეფციის შესახებ.

ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი მთელი რეგიონის მასშტაბით განახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ სხვადასხვა პროგრამას, საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსების, ბიზნეს უნარების გაუმჯობესების და საინფორმაციო მომსახურების მიმართულებით.

იგივე სამიზნე აუდიტორიასთან საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტზე: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვაში ფერმერების ჩართულობისა და მუნიციპალური თვითმმართველობის როლის გაძლიერების ხელშეწყობა“, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ფერმერების გააქტიურება და მათი თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება.

შეხვედრას მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ანტონ ვარდია ესწრებოდა.

## სოფელი

საჯიჯაო ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი და გამორჩეული სოფელია, რომელსაც ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხობის წარმატებებში. რაშიც მრავალი ორდენოსანი და ღირსეული ადამიანის უდიდესი წვლილია ჩადებული. სოფელს მუდამ საუკეთესო პიროვნებები ხელმძღვანელობდნენ.

დღეს კი ამ დიდებულ სოფელს ახალგაზრდა ქალბატონი, პროფესიით იურისტი თამარ კვარაცხელია უდგას სათავეში. მეორე წელია, მას ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის თანამდებობა უკავია, შემოთავაზებისას, გადაწყვეტილების მიღება არ გასჭირვებია. ნიჭიერი და შრომისმოყვარე თამარი თანასოფლელთა ჭირისა თუ ლხინის მოზიარეა, მან ყველა თაობის ადამიანის პატივისცემა დაიმსახურა, სჯერათ მისი, იციან, რომ ბევრს შეძლებს სოფლის საკეთილდღეოდ, რადგან მის გვერდით კარგი გუნდი დგას.

იმ დღეს, როდესაც მას საგაზეთო მასალის თაობაზე ვესაუბრე, მომიბოდიშა, მითხრა, რომ სოფელში გზები კეთდებოდა და მათი შრომის თანაზიარი გახლდათ...

მის ცხოვრებას ალამაზებენ და ყოველთვის სიკეთის კეთებას უნერგავენ მშობლები დედა ლალი ახალაია, მამა იაკიმე კვარაცხელია და ძმა გიორგი (იურისტი).

თამარ! მომავალშიც წარმატებები გქონებოდეთ თქენს საქმიანობაში. გვჯერა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები მოსახლეობის საქმიანი სურვილების ასრულებისთვის მერის წარმომადგენლის გვერდიგვერდ დგანან. საქმეები წინ წაიწევს სოფლის საკეთილდღეოდ. ეს აშკარად ჩანს მისი საუბრიდან.

თამარ კვარაცხელია დღევანდელი ნომრის სტუმარია.

*ნანი ჯიღასონია*

# წინ სოფლის საკეთილდღეო საქმეებია!..

მოგესალმებით, მივესალმები „ხობის მოამბის“ მკითხველს.

საჯიჯაო სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ოდიშის დაბლობზე მდინარე ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ცენტრიდან, 13 კილომეტრითაა დაშორებული და სამი სოფლისგან შედგება: ზენი, ზუბი და ჯაპიშაქარი.

საჯიჯაოში არის საჯარო სკოლა (დირექტორი მაია შუშანია), სადაც სწავლობს 232 მოსწავლე, აქ ღირსეული და გამორჩეული პედაგოგები მოღვაწეობენ. წელს სკოლას ხუთი მედალოსანი ჰყავდა–ელენე თოლორდავა, ანი ქაჯაია, მარიამ ზარანდია, მათე ჭანტურია, ვერცხლის მედალოსანი დემურ ქაჯაია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მათ სტუდენტობა მივულოცო:

„ბილოცავთ ცხოვრების ახალ გზაზე გადადგმულ პირველ წარმატებულ ნაბიჯს, რომელიც თქვენი განვლილი გზის ერთგვარი შეჯამება და მომავლის საფუძველია. ამიერიდან თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, ახალი გამოცდილებით, ურთიერთობებით, მეგობრებით. წარმატებებს გისურვებთ ამ გზაზე. მჯერა, რომ თითოეული თქვენთაგანი იპოვნის საკუთარ ღირსეულ ადგილს ცხოვრებაში. თქვენს ცოდნას ჩვენი სოფლის, მუნიციპალიტეტის და სამშობლოს სასიკეთოდ გამოყენებას გისურვებთ“.

ჯაპიშაქარში მოქმედებს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს ტარიელ დგებუაძის, ელგუჯა თირქიას და ძმების: გოდერძი, ვეფხვია, თენგიზ და ფელიქს კვარაცხელიების შემწეობით ძველ ნაეკლესიარზე აშენდა.

საჯიჯაოში არის ასევე საბავშვო ბაგა-ბაღი (მთავარი სპეციალისტი შორენა თურქია), სადაც 65 აღსაზრდელი და 20 თანამშრომელია. ბაღის თანამშრომლები ზრუნავენ ბავშვების ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ განვითარებაზე, უქმნიან მათ ურთიერთპატივისცემაზე და თანასწორობაზე დაფუძნებულ გარემოს.

საჯიჯაოში გვაქვს კულტურის სახლი, რომელსაც ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია (წამყვანი სპეციალისტი ქეთევან კაკაშვილი), სადაც ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის, ძალიან ლამაზი ღონისძიებები.

საჯიჯაოს კულტურის სახლში ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოქროს საწმისი“ ფუნქციონირებს (ქორეოგრაფი ბექა ქავთარაძე). 9-13 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ არჰავში გაიმართა კულტურისა და ხელოვნების 29-ე საერთაშორისო ფესტივალი, სადაც საჯიჯაოს კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოქროს საწმისმა“ მიიღო მონაწილეობა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ვულოცავ „ოქროს საწმისს“ და ქორეოგრაფს მორიგ წარმატებას.

კულტურის სახლის შენობაში არის „აიპ ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრში“ შემავალი სპორტის ფილიალი.

არსებობს კრივის და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეების ჯგუფები (მწვრთნელები: ალმასხან ხუნჯუა, ზურაბ ჭითაშვილი და ედიკა თოდუა), სადაც საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონები და პატარები–მომავალი სახელოვანი სპორტსმენები ვარჯიშობენ.

სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში–კეთილმოეწყო სასოფლო ამბულატორია და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით (ექიმი გულნარა ქაჯაია, ექთნები ელიზავეტა ჩადუნელი და ქეთინო წურწუმია).

საჯიჯაოს ცენტრში მიმდინარეობს პოლიციის ახალი შენობის მშენებლობა, თანამედროვე შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით იქნება აღჭურვილი. ღირსეული პოლიციელები ოცდაოთხი საათის განმავლობაში ემსახურებიან სოფელს (განყოფილების უფროსი კახაბერ ლატარია).

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, საჯიჯაოში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

საჯიჯაოს ცენტრიდან მდინარე ჭანისწყლის ხიდამდე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის და რეგიონებში განხორციელებული პროექტების თანადაფინანსებით, ორ ეტაპად განხორციელდა. პროექტის შესაბამისად სამ კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ეზოებში შესასვლელები და განხორციელდა გზის სავალი ნაწილის მონიშვნა. გზა, რომელიც ორ მუნიციპალიტეტს აკავშირებს ამორტიზებული იყო და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ 1 მილიონ 157 ათასი ლარი შეადგინა.

ჯაპიშაქარში და ზენში აშენდა მოსაცდელი, ზენსა და ზუბში მოეწყო გარე განათება, ზენსა და ჯაპიშაქარში ამოიწმინდა სანიაღვრე არხები, გაღმა საჯიჯაოში მოეწყო სასაფლაომდე მისასვლელი გზა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, გამოყოფილი თანხით მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ზენისა და ზუბის უბანში ჩატარდება მოხრეშვითი სამუშაოები, ჯაპიშაქარში, კერძოდ საახალაიოს უბანში მოეწყობა გარე განათება.

ზენში მიმდინარეობს ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა, რადგან წყალდიდობის დროს ირეცხებოდა სანაპირო ზოლი და იტბორებოდა საკარმიდამო ნაკვეთები.

საჯარო სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, გამოიცვალა სკოლის შენობის სახურავი, სამივე სართულს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა სპორტული დარბაზი.

საჯიჯაოს ცენტრში გაიხსნა უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი სტომატოლოგიური კაბინეტი SANI DENT-i, ეს არის ადგილი, სადაც უმნიშვნელოვანესი მიზანი პაციენტის ჯანმრთელობაა (ექიმი-სტომატოლოგი ქრისტინა დოჩია).

საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთების საკადასტრო გეგმითაზომვით სამუშაოებს აწარმოებს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია უფასოა. საჯარო რეესტრი და ეროვნული სააგენტო სისტემური წესით ზომავს მიწის ნაკვეთებს, იძიებს შესაბამის დოკუმენტაციას და არეგისტრირებს საკუთრებას.

საჯიჯაოში ბოლო პერიოდში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით ბევრი კარგი პროექტი განხორციელდა, მჯერა, მომავალში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი და ხალხისთვის სასიკეთო საქმე გაკეთდება.

***თამარ კვარაცხელია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში.***

# 12 აგვისტო–„ცოტნეობა“

## არქივიდან

„ჯაცი ჯეთილი და სრული საღმრთოთა და საჯაცობოთა. ჰატივოსანი და სათნოებიანი, ბრძოლათა შინა სახელოვანი“,-ასე დაახასიათა ჟამთააღმწერელმა ცოტნე, როგორც ქართული ჰოლიტიკური აზრისთვის საქართველოს ჰროგრესული ძალების კონსოლიდაციის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნულ ძალთა შეკავშირების სიმბოლო, 1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ცოტნე დადიანი წმინდანად შერაცხა.

# საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი

**ცოტნე დადიანი**–ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც შთამომავლობას გმირობისა და ერთგულების მაგალითი მისცა, მოღვაწეობდა XIII საუკუნეში, მაშინ, როდესაც საქართველო უმძიმესი განსაცდელის წინაშე იდგა და როცა ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები. 1235 წელს საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. რუსუდანმა მათთან დაზავება გადაწყვიტა, მითუმეტეს, რომ დახმარების იმედი არსაიდან ჩანდა. ასეთ მძიმე ვითარებაში საქართველოს ელჩობა არსენ მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელის მეთაურობით ბათო–ყაენთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. 1243 წელს დაიდო ზავი, საქართველო „ოქროს ურდოს“ მფლობელობაში მოექცა. ზავის თანახმად, სამეფო ხელისუფლება ქვეყანაში ხელუხლებლად რჩებოდა, მეფობის პრეტენდენტს ყაენი ამტკიცებდა. ქართველებს უნდა გადაეხადათ ხარკი–50 ათასი პერპერა, საჭიროების შემთხვევაში კი მონღოლთა მხარეზე საბრძოლველად სამხედრო ძალა უნდა გამოეყვანათ.

ზავის დადების შემდეგ რუსუდანმა თავისი ძე დავითი, რომელიც მანამდე თანამოსაყდრედ დასვა, ყაენთან გააგზავნა მეფედ დასამტკიცებლად. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა და დაიწყო უმეფობის ხანა. ტახტისმემკვიდრე დავითი ჯერ კიდევ არ იყო ურდოდან დაბრუნებული. მონღოლებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და საქართველო, მონღოლური წესის მიხედვით, დუმნებად დაყვეს. დუმნისთავობა დამპყრობლებმა ცნობილ ქართველ დიდებულებს: ეგარსლან ბაკურ ციხელს, შანშე მხარგრძელს, ყვარ-ყვარე ჯაყელს, გრიგოლ სურამელს, ცოტნე დადიანს და ხვებს უბოძეს.

მონღოლთა ბატონობა საქართველოში სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, მათ საქართველოს მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს და თან ბრძოლებში მონაწილეობაც დაავალეს. ქართველები არ აპირებდნენ ასე ადვილად შეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას და გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს. შეთქმულები ჯავახეთში, კოხტასთავზე შეიკრიბნენ: „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი შეკრებისა“. შეკრების ადგილად რკინის ჯვარი, სამცხესა და ღადოს შორის არსებული ტერიტორია დასახელდა. თათბირი დასრულდა თუ არა, პირველებმა კოხტასთავი დატოვეს ცოტნე დადიანმა და კახაბერ კახაბერის ძემ, რომელთაც ყველაზე დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. ისინი იმერეთ-აფხაზეთსა და რაჭა-თაკვერში უნდა გადასულიყვნენ და ლაშქრის შეგროვების შემდეგ, დანიშნულ დროზე რკინის ჯვარზე გამოცხადებულიყვნენ. როგორც ჩანს, ვიღაცამ გასცა შეთქმულები–მოულოდნელად მონღოლთა ჯარები, ბიჩოისა და ანგურგის სარდლობით, თავს დაესხნენ ქართველ დიდებულებს, შეიპყრეს და ანისის ქვეყანაში, იმ ადგილას წაიყვანეს, რომელსაც „შირავაკანი“ ერქვა. მონღოლთა მთავარმა ნოინმა, ჩარმაღანმა, რომელიც ნდობით ეპყრობოდა ქართველებს, იუცხოვა მათი ღალატი და გაკვირვებული შეუდგა დაკითხვას. შეკრების მიზეზად ქართველები მონღოლთათვის ხარკის აკრეფას ასახელებდნენ და აცხადებდნენ, რომ აჯანყების განზრახვა არ ჰქონიათ. მონღოლებმა მათ არ დაუჯერეს: მთავრები გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მშიერ-მწყურვალნი, პაპანაქება სიცხეში დატოვეს, თან ყოველდღე შეკრების მიზეზს ეკითხებოდნენ. ამასობაში ციხის–ჯვარში შეხვედრის დროც დადგა. ცოტნე დადიანი თავისი ლაშქრით გამოცხადდა და როდესაც შეიტყო თავზარდამცემი ამბავი, „მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვისად სიკუდილად და სირცხვილად შეჰრაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თ?ისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა“. ანისში ცოტნემ იხილა რა სასიკვდილოდ განწირული თანამოძმეები, ცხენიდან ჩამოხტა, სამოსელი გაიხადა და გვერდით მიუჯდა მათ. მონღოლებს არ დასჭირვებიათ ეკითხათ, ვინ იყო ამ უცნაური საქციელის ჩამდენი, ჟამთააღმწერლის ცნობით, მას, „კაცსა კეთილსა და სრულს“ ყველა ძალიან კარგად იცნობდა. ცოტნეს მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგდოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება? თქუენი აღვასრულოთ–ეს იყო შეკრება ჩუენი. აწთქუენ ძირის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე, რამეთუ თ?ნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო“,–უპასუხა ცოტნემ. ამ პასუხით ყველა სახტად დარჩა. ცოტნე დადიანის თავდადებამ იმდენად იმოქმედა მონღოლებზე, განსაკუთრებით ჩაღატა ნოინზე, რომ მათ ქართველების გათავისუფლება გადაწყვიტეს. 1259 წლის მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი აღარ ჩანს. ვარაუდობენ, რომ ამ დროისთვის იგი უკვე გარდაცვლილი იყო. საქართველოში ყველამ იცის ცოტნე დადიანის ამბავი, მისი გმირობა რწმენის, სიყვარულისა და თავდადების მაგალითია.

*შოთა ნიშნიანიძე*

## ცოტნე დადიანი

მეგრელ სიმღერემიდან და მეგრელი
მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც
მოდიდა.
იქნემ ელვა აჯარდა ბჟელოაზური
აფრიდან
ანდა წმინდა გიორგი მარცვიერიდან
აფრინდა?
მთვარის ყამაღასხიანი, ღამის
ნამდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.
რასანია ეკლესიემს შესვია
ჭიღყვავი,
და ციხეემს აზიური სიმღერემი
ჭირხლავენ,
ცას უყეფენ ჯოცონემი და ჯარვემი
მონგოლთა...
ვერ იქნემა ჯოხტაგორა საქართველოს
გოლგოთა!
–მაშ გაფრინდი, მედაურო,
გრბელფეხემა, ჯანჭვრიელო,
ოჩოჯოჩის გასედნილო და ჭინკემის
გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც
მოთმენა, არც ძილი, –
ასრამენ ჰორიზონტი...
გადასხენ მანძილი...
ჩქარომს,
ჩქარომს,
ჩქარომს,
ავსემული ურვით,
ცოცნე დადიანის რაინდული გული...
***
ისევ ისმის თქარუნი
და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრემული
აჩრდილს,
მოჭენაომს,
მოგელავს
თოხარიკით...
ჩორთით...
ფაფარიკით აწეწილა საუკუნის
შფოთი...
ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი
ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი
ცომი.
ისევ ფეთქავს, ისევ სცემს,
ლეგენდემად თქმული,
პატარა საქართველოს
რაინდული გული...

**იაკობ გოგებაშვილი**

## მონგოლნი საქართველოში

**თამარ მეფის** სიკვდილის შემდეგ არ გასულიყო ჯერ თორმეტი წელიწადი, რომ ჩვენს ქვეყანას შემოესია მრავალრიცხოვანი და უმძლავრესი მტერი–

მონგოლები. ამ ველურმა ხალხმა მოინდომეს საქართველოს დაპყრობა. მათ მოსთხოვეს ქართველებს, ნებაყოფლობით დაგვიმორჩილდითო, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მაშინ მათი ლაშქარი შემოესია ჩვენს ქვეყანას და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ქართველთა და მონგოლთა შორის. ქართველებმა დიდი ვაჟკაცობა უჩვენეს მტერს, სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავგანწირულნი იცავდნენ, მედგრად ებრძოდნენ მონგოლებს, ულეტდნენ მათ. **მ**აგრამ მტრის სიმრავლის გამო ბოლოს მაინც ძლეულნი იყვნენ. გამარჯვებულმა მონგოლებმა იწყეს მბრძანებლობა საქართველოში და სწრაფად შესცვალეს მისი მდგომარეობა. ქვეყანა სწრაფად გააღარიბეს, თავისუფალს ერს ყმობის უღელი დაადგეს. მტერს მაინც ეშინოდა ქართველების შეერთებული ძალისა და ყოველ ღონეს ხმარობდა ჩაეშალა ქართველთა შორის ერთობა და ამით ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ დაეუძლურებინა და დაემონავებინა. ასეც მოიქცნენ, თავისი წადილი სისრულეში მოიყვანეს. ცდილობდნენ ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ და იმერნი და ამერნი ქართველნი ერთმანეთთან შეეჯახებინათ. როცა ასე გააცალკევეს ღვიძლი ძმები და დააუძლურეს, მაშინ მოინდომეს მეფე ჩამოეგდოთ, თვითონ ყოფილიყვნენ პირდაპირი მბრძანებელნი ქართველებისა.

## კრება მამულიშვილთა

ქართველნი მამულიშვილნი ძლიერ სწუხდნენ, როცა ხედავდნენ ქვეყნის განცალკევებას, უმეფობას, სისუსტეს ერისას და სულ იმის ფიქრში იყვნენ, რა ეღონათ. ბოლოს საქართველოს ყველა კუთხის საუკეთესო მამულიშვილებმა მოიხმეს ერთმანეთი და მოახდინეს კრება შუაგულს ადგილას, ახალციხის მახლობლად. ისინი ქვეყნის შველაზე ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ. ბოლოს, ერთხმად დაადგნენ იმ აზრს, იმ გადაწყვეტილებას, რომ წასულიყვნენ ყველანი თავთავიანთ ქვეყანაში, აეჯანყებინათ მცხოვრებნი, მოეკრიფათ საჩქაროდ ჯარები და მოესხათ ისინი ახალციხის ახლოს. აქედან შეერთებელი ძალით უნდა გაელაშქრათ მონგოლების წინააღმდეგ, გაერეკათ ისინი საქართველოდან.

## დატყვევება ქართველებისა

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ცოტნე დადიანი გაეშურა შორეულს აფხაზეთში, რათა დროზე შეეკრიბა ჯარი და ვადაზე მიესწრო დანიშნულ ადგილას. სხვანი ჯერ ერთად იყვნენ და აჯანყების წესსა და რიგს აწყობდნენ. მაგრამ მონგოლებმა ეს ამბავი შეიტყვეს, უთუოდ სულმდაბალი ჯაშუშების შემწეობით. მათ სწრაფად აფრინეს ცხენოსანი ჯარი ახალციხისაკენ. ეს ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველ მთავრებს სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი აქედან წასვლას აპირებდნენ თავიანთ ქვეყნებში მცხოვრებლების ასაჯანყებლად. ქართველებს თან ჯარი არა ჰყავდათ, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დატყვევებულ იქმნენ ყველანი ერთად.

## თავდადება ცოტნესი

ამასობაში დადგა ის დრო, როდესაც პირობისამებრ უნდა შეყრილიყვნენ საქართველოს მთავარნი თავიანთი ჯარებით ახალციხის ახლოს; აქ დანიშნულ ვადაზე ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ჯარით, მაგრამ ნაცვლად თავმოყრილი ქართველი ლაშქრისა, მას დახვდა საზარელი ამბავი. მან იმწამსვე მიიღო იმისთანა მაღალი და საკვირველი გარდაწყვეტილება, რომელიც შეეფერება სამაგალითო მამულიშვილს და ყოვლად ღირსეულ ვაჟკაცს. თავისი ლაშქარი მთლად უკანვე აფხაზეთში დააბრუნა, თვითონ კი გასწია ანისისაკენ ორი მოსამსახურით იმ განზრახვით, რომ მისულიყო დატყვევებულ ქართველებთან და ჭირსა და ტანჯვაში მათთან ყოფილიყო. ცოტნემ გაიარა მესხეთი ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხეთს და შევიდა სომეხთა დედაქალაქ ანისში. **ს**აშინელმა წუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამცირებელ მდგომარეობაში ნახა წარჩინებული ქართველნი. მაგრამ ამასთან ნუგეშიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული ვაჟკაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისი მეგობარნი. ცოტნე გადმოხტა ცხენიდან, მივიდა თავის მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა; მერე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა თოკებით მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებს შორის დაღონებული. როცა ეს ამბავი ნოინს მოახსენეს, იგი საშინლად გაოცდა, დაიბარა თავისთან ცოტნე და ჰკითხა მიზეზი, რად მოვიდა აქ და რად ჩაჯდა გატიტვლებულ ქართველთა შორის. ცოტნემ მიუგო: მე მოვედი იმიტომ, რომ ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან. უდანაშაულოთა დასჯა კი თუ შეიძლება, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო. ამ სამაგალითო სათნოებამ და იშვიათმა მეგობრულმა ერთგულებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზე, რომ მან თქვა: რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერთმანეთისა, რომ შორეული აფხაზეთით მოვიდა ეს დიდებული კაცი, რათა თავი დასდოს მეგობრებისათვის, ამიტომ ვენდობი მეც მათ და ვანთავისუფლებ ყველასო.

ასე იხსნა სახელოვანმა მამულიშვილმა ცოტნე დადიანმა რჩეული ქართველები საშინელი წამებისაგან. ტყვეობიდან დაბრუნებულნი ქართველნი შეუდგნენ ქვეყნის გაძლიერებას, დაამყარეს ამერთა და იმერთა შორის ძმური კავშირი და ერთობა, და განდევნეს თავისი ქვეყნიდან მონგოლნი.

## წარმატებული ხობელები

# სახელოვნად გავლილი გზა...

ნუგზარ ებანოიძე–ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (2001), პროფესორი (2003), საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ნუგზარ ებანოიძე 1944 წლის 1 იანვარს დაიბადა ქ. ხობში. 1965 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წელი მუშაობდა ხობის „საქსოფლტექნიკაში“ ინჟინრად, შემდგომ - სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში მასწავლებლად; 1969-1971 წწ.–სწავლობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ქ. თბილისის სამთო მიწათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში;

1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაბრუნდა ინსტიტუტში ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრაზე ჯერ უფრო მასწავლებლად, შემდგომ–დოცენტად.

სხვადასხვა დროს იყო მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, აგრობიზნესის ინჟინერთა ფაკულტეტის დეკანი;

2001 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება;

2006-2009 წწ იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის რექტორი;

2009 წლიდან–უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი.

ნუგზარ ებანოიძე 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მათ შორის სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები და მანქანათა კომპლექსის დამუშავება;

გამოქვეყნებული აქვს 14 საავტორო მოწმობა და პატენტი; მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები (საქართველო: ენციკლოპედია ტ.2).

მოგონებათა სივრციდან

# საინტერესო ისტორია

რამდენი ხანია ვაპირებ გამოვეხმაურო გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში გაპარულ „იოტისოდენა“ უზუსტობას, რომელსაც არავისთვის ზიანი არ მოუტანია, მაგრამ... ფაქტი არ უნდა დამახინჯდეს!

საგაზეთო სტატიაში აღნიშნულია, რომ პირველი სიმინდის ამღები კომბაინი ხობში თითქოს შემოიყვანა „სოფტექნიკის“ განყოფილებამ, რაც არასწორია!

სწორია ის ფაქტი, რომ პირველი სიმინდის ამღები კომბაინი (მისაბმელი!) პატარა ფოთის მეურნეობამ შემოიყვანა, რასაც საინტერესო ისტორიაც აქვს, რადგან ეს „კარგი ცხოვრებით“ არ იყო გამოწვეული...

პატარა ფოთის მეურნეობას ჰქონდა სასიმინდე ფართობი (50 ჰექტარი) ე.წ. „საქორქიოს უბანში“ (მდინარე რიონს გაღმა), რასაც ამუშავებდნენ ძირითადად ფოთელები და საჭოჭუოს უბნელები. ბრიგადირიც ფოთელი გახლდათ!

მოსავლის აღების დროა და მესიმინდეებმა ბრიგადირის პირით შემოგვითვალეს თუ მოსავლის ნახევარს არ მოგვცემთ, მოსავალს არ ავიღებთო. არადა, დაწესებულია რაიონში მესიმინდეს უნდა გადაეცეს მოსავლის „მესამედი“. რომ არ გამიგრძელდეს, ვეცადეთ მოლაპარაკება მაგრამ არ გამოგვივიდა... ამ დროს ერთ-ერთ თათბირზე ბატონი ანგულ მიქავა (მაშინ მუშაობდა მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიზატორად!) შემოდის წინადადებით! „ქუთაისის ბაზაში შემოყვანილია მისაბმელი სიმინდის ამღები კომბაინი, ძვირიც არაა, 2600 მანეთამდე ღირს და შემოვიყვანოთო!“

გადავწყვიტეთ შემოგვეყვანა!

ამასთან, სამომავლოდაც „შანტაჟი“ გამორიცხული იქნებოდა, რაც შემდგომში დადასტურდა კიდეც!

საბოლოოდ, როცა მთელი დირექცია ჩავედით საქორქიოში და მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, იძულებული ვიყავით დაგვეწყო სიმინდის ტეხვა, პირველ ჯერზე კომბაინი შევუშვით ბრიგადირის ნაკვეთზე, ცოტა არ იყოს, ჩვენც შეფიქრიანებულები ვიყავით, რომ რაიმეთი არ შევფერხებულვიყავით, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ლაფეტი სიმინდით რომ დაიტვირთა, ბრიგადირი შევსვით თავის სიმინდზე და გავუშვით საწყობში...

საინტერესო იყო საცქერლადაც მათთვის, ვინც პირველად ხედავდა სიმინდის აღებას კომბაინით, მაგრამ მეორე ნაკვეთისკენ რომ დავაპირეთ წასვლა, პრეტენზიის მოთავე ვინც იყო, განაცხადა–ხვალიდან ვიწყებთ სიმინდის აღებასო!

...სიმინდიც საქორქიოში და მთელი მეურნეობის ტერიტორიაზე ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოიტეხა, ხოლო კომბაინი, მე როგორც მახსოვს, 1-2 წელიწადი კიდევ იდგა მეურნეობის ავტოფარეხში.

ჩვენი ვარაუდი სწორი გამოდგა მას შემდეგ არავის წამოსცდენია სიტყვა სიმინდის 50 პროცენტზე.

ახლა ამას რომ ვიხსენებ–მეღიმება, ჩვენმა კომბაინმა არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე „ლენინგრადის ვაგზალზე“ მდგომმა ლენინის „ბროევნიკმა“

**გოგი ბუკია.**

# ხარის სკულპტურა, რომელიც სავარაუდოდ 2700 წლისაა

ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში აღმოაჩინეს ხარის სკულპტურა, რომელიც დაახლოებით 3 ათასი წლის უნდა იყოს. იგი ბავშვებმა მდინარეში იპოვეს.

ამბავი დაახლოებით შვიდი წლის წინ დაიწყო, როდესაც მდინარე ხობისწყალში პატარა ბავშვებმა ხარის მომცრო ფიგურა იპოვეს და თავიანთ სათამაშოებს მიუმატეს. კარგა ხანი ერთობოდნენ, სანამ „სათამაშო“ ხორგელმა ზვიად კორტავამ არ შეამჩნია.

„დავინახე ხარი, ხარი ხომ სიმბოლოა და მივხვდი, რომ უბრალო რამე არ იყო,–ამბობს ზვიადი. 21 აგვისტოს მან სკულპტურა გოგიტა ჩიტაიას, ძეგლთა დაცვის კუთხით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარ სპეციალისტს გადასცა.

ყოველი წყალდიდობის შემდეგ, მდინარე ნაპირებს რეცხავს. იქ ძველი ნამოსახლარებია და ხანდახან ასეთი მასალებიც ირეცხება, შემდეგ შეძლებისდაგვარად ვაგროვებთ და მოგვაქვს მუზეუმში“,–ამბობს გოგიტა ჩიტაია, რომელიც ნაპოვნს ხობის მუზეუმს ჩააბარებს.

თიხისგან დამზადებული ხარის სკულპტურა სიმაღლეში დაახლოებით 10 სანტიმეტრი, სიგრძეში კი 25 სანტიმეტრამდეა. არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი, რომელმაც სკულპტურა ნახა, ამბობს, რომ მისი ასაკი სავარაუდოდ 2700-2800 წელი უნდა იყოს.

„ხარის კულტი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, ხშირად გვხდება სხვადასხვა რელიგიებში, განსაკუთრებით ძველი წელთაღრიცხვის მერვე-მეშვიდე საუკუნეებში,–ამბობს რევაზ პაპუაშვილი, - ბრინჯაოს პერიოდის ნივთები მრავლად გვაქვს კოლხეთში, ხაიშში, ურეკში. თიხისგან დამზადებული ხარი გვხვდება



ვანში, ნოქალაქევში, ყულევში. ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ რელიეფი, სადაც ეს ნივთი აღმოჩნდა, კერძოდ, სოფელი ხორგა, არ ყოფილა გამოთიშული ამ ჯაჭვისგან“.

არქეოლოგი ამბობს, რომ სკულპტურა მდინარის კალაპოტში იპოვეს და არა რომელიმე კულტურულ ფენაში, ანუ ადგილას, სადაც ძველ ეპოქაში ადამიანები ცხოვრობდნენ ან საქმიანობდნენ. მაგრამ შესაძლოა, ის რომელიმე ასეთი კულტურული ფენის ნაშთი იყოს, მდინარის მიერ მოწყვეტილი და ჩამოტანილი.

რევაზ პაპუაშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ ნივთი პირდაპირ მდინარეში ჩაეგდოთ. ნივთების მდინარისთვის შეწირვა ძველი რიტუალების ნაწილი იყო.

# რა უნდა ვიცოდეთ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების შესახებ?

ყირიმ-კონგოს ცხელება არის ვირუსული დაავადება, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს, როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებშიც. ავადდებიან შინაური და გარეული ძუძუმწოვარი ცხოველები, ასევე მღრღნელებიც (ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ძაღლი, თაგვი და სხვა).

დაავადება მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს. გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, თუმცა უფრო ნაკლებად ვიდრე სხვა ქვეყნებში. ჩვენთან დაავადების შემთხვევები გვხვდება შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, თბილისში. სწორედ ამიტომ, ადამიანებში დაავადების პრევენციის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ჰიგიენის დაცვას, ცხოველების მოვლას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ცხოველს ტკიპა მოვაცილოთ ხელით. ის უნდა მოცილდეს პინცეტის ან სხვა საშუალებით. ყველაზე კარგია, ცხოველების შეწამლვა სპეციალური საშუალებებით ყოველ 15-20 დღეში ერთხელ გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, ამით ცხოველები განთავისუფლდება ტკიპებისგან და ადამიანიც აღარ დაინფიცირდება.

დაავადების საწყისი სიმპტომია მოულოდნელი შემცივნება, ტემპერატურის 39-40 გრადუსამდე აწევა, იწყება კუნთების და თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, დიარეა, ვითარდება სისხლის ჩაქცევები კანზე, სისხლდენა ცხვირიდან, ღრძილებიდან, საშვილოსნოდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.

დაავადება ადამიანში მძიმედ მიმდინარეობს და დროული მკურნალობის გარეშე 30-40 პროცენტი სიკვდილით მთავრდება. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ არიან პირუტყვის მომვლელები, მწყემსები, დაავადება გადეცემა ადამიანიდან ადამიანსაც.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება.

დაავადება ვრცელდება ტკიპების (Mualomma) სახეობის საშუალებით. დაავადება რომ გავრცელდეს, ჯერ ტკიპამ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს, შემდეგ ადამიანს. ადამიანებში დაავადება ვლინდება ინფიცირებული ტკიპას კბენიდან 1-9 დღის განმავლობაში, (კბენა ტკიპით ხელით მოცილებისას, გაჭყლეტილ ტკიპასთან შეხება) ასევე დაინფიცირებული ცხოველის დაკვლის დროს კონტაქტის შედეგად.

ცხოველებში ვირუსი მოკლე პერიოდის განმავლობაში ცირკულირებს და კლინიკური ნიშნების არქონის გამო ცხოველები მკურნალობას არ ექვემდებარებიან.

ადამიანებში დროულად დასმული დიაგნოზი და ადრე დაწყებული მკურნალობა კეთილსაიმედოა.

როგორ დავიცვათ თავი მრისხანე დაავადებისგან?

–ცხოველებში ტკიპების გაჩენისთანავე წლის თბილ და ცხელ პერიოდში, ყოველ 15-20 დღეში ერთხელ დავამუშავოთ ცხოველები და მათი სადგომები, დახურული დამხმარე სათავსოები ინსექტოკარიიდული ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებებით.

–იმ ტერიტორიაზე, სადაც ბალახის მაღალი საფარია, მიზანშეწონილია ატაროთ გრძელსახელოიანი ტანსაცმელი, გრძელი შარვალი და დახურული ფეხსაცმელი.

–სახლში დაბრუნებისას შეამოწმეთ ტანსაცმელი და სხეული ტკიპის არსებობაზე.

–ცხოველებს ტკიპები მოაშორეთ ხელთათმანის და პინცენტის გამოყენებით, მოცილებისას შეეცადეთ არ გაჭყლიტოთ ტკიპები.

–დაავადების მსგავსი სიმპტომების შემთხვევაში ადამიანმა დაუყონებლივ უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას.

დაავადების საწინააღმდეგო სპეციფიკური ვაქცინა არ არსებობს.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის ა(აიპ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.***

## სულთათანა

# ლევან ქავთარაძე



დრო მიიჩქარის, თან მიაქროლ-მოაქროლებს სიხარულს და ამ ბოლო დროს უმეტესად სატკივარს, ასეთ ჟამს საფიქრალს რა გამოულევს ადამიანს. ფიქრით ვის და რას არ მიედები, მით უფრო, ტკივილის გზა სად არ მიგიყვანს...

გტკივა საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებთან სიშორე, მიუხედავად იმისა, ყოველდღე ელოდები მათთან შეხვედრას (არავინ უწყის რას გვიმზადებს ბედისწერა).

ლევან ქავთარაძე–სახელი, რომელსაც უკვე მოგონება ჰქვია, ცნობილი ექიმი ნევროპათოლოგი–მშვიდი, კრძალული და უაღრესად ზომიერი, მან ძალზე მოკრძალებულად იცხოვრა, თუმცა უკომპრომისო, უსამართლობასთან შეურიგებელი იყო, თუ საკუთარ სინდისთან თავს მართლად გრძნობდა, ვერავითარი ძალა ვერ მოისყიდიდა. ცხოვრებისგან თავად არასდროს ითხოვდა რამეს, თავად ქმნიდა იმ ცხოვრებას, რომელმაც აღიარება მოუპოვა და რომლის თავიდათავი სიყვარული გახლდათ, ჯერ პირადული, ოჯახური, დიდი და უკიდეგანო, შემდეგ კი საზოგადოებიდან წამოსული, მადლიერებით გალამაზებული... მის პიროვნებასთან ასოცირდებოდა იმედი სიცოცხლის გადარჩენისა, პროფესიიდან გამომდინარე, ვალდებულებადქცეული ღიმილი თან სდევდა პაციენტთან მის ურთიერთობას.

ბატონ ლევანთან ყოველი შეხვედრა იმდენად იმედიანი და ალერსიანი იყო, უცხოსთვისაც უმალ ახლობელი ხდებოდა.

ყველა სიტუაციაში სასურველი სტუმარი და იმედი იყო.

მახსოვს, ერთი პერიოდი თავად გახდა სამკურნალო, მთელი რაიონი სწუხდა, გვეგონა თავზე ცა ჩამოგვექცა. უფალმა გადმოხედა, მისი კოლეგა შვილის ლევან ქავთარაძის („პატარა ლევანის“ ასე ეძახდნენ მას) დიდი მცდელობით გამოჯანმრთელდა და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. როგორც იტყვიან, ზეცის კარი გაეხსნათ ხობელებს (და არამარტო). ბატონი ლევანით ამაყობდა საზოგადოება, სიყვარულის წილ სიყვარულს არ უგვიანებდა... უყვარდა და უყვარდათ, ასე გრძელდებოდა წლები...

ხობელთა სურვილს მხარი დაუჭირა ხელისუფლებამ და იგი „ხობის საპატიო მოქალაქედ“ აირჩიეს, ეს დღე მის მიმართ სიყვარულის აღიარების ბუნებრივი აკორდი გახლდათ.

ამასობაში წლებმა დაათოვა, თუმც მისი რჩევა ყოველთვის ანგარიშგასაწევი იყო, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ჭკუის საკითხავ კაცად...

სულ ერთი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, იგი 88 წლისა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მშვიდად გაეცალა ცოდვამადლიან წუთისოფელს...

„ნათელი დაადგეს მის საფლავს“ გაცვეთილი ფრაზაა, მისი ხსოვნა მართლაც სამარადჟამოა. ვიდრე ერთი კაცი ან მისი შთამომავალი მაინც იარსებებს მისი მადლიერი პაციენტებიდან, მას არ დაივიწყებენ.

არდავიწყება, სიყვარული და მადლიერება ლევან ქავთარაძემ სიცოცხლეში დაიმსახურა. მის დიდკაცობას ამშვენებდა მისი ლამაზი, გამორჩეული ოჯახი–ქალბატონი ლუიზა გოგილავა, შვილები თეა და ლევანი, რძალი ნათია სალაყაია, ერთიმეორეზე უკეთესი შვილიშვილები...

თავად ხომ მუდამ ფიქრობდა რა სიკეთე გაეკეთებინა სხვისთვის, დღეს სწორედ მისი დამსახურებაა, მისი მონაგარიც იგივეს რომ აკეთებს.

მართლაც რომ აკლია ხობს და ხობელებს ბატონი ლევანი–საუკეთესო ექიმი, მამა, ბაბუა, მეგობარი და მეზობელი, რომელიც მისი ქმედებით, ნაღვაწით, ღიმილიანი მისალმებით ისევ ჩვენთანაა, გვათბობს მისი მოგონებებით, ამქვეყნად დატოვებული სიკეთით, რომელიც კელაპტარივით ანათებს მის არდავიწყებას, სახელოვნად გავლილ წუთისოფელს...

***მერი ლაგვილავა***

# იძინეთ მშვიდად...

ორი ათეული აითვალა წლებმა, თითო ათეულმა თითო ვაჟიშვილის სიცოცხლე წაართვა ოჯახს. სვეგამწარებული დედა, სიმწრით გამოზრდილი შვილების სიცოცხლის ჩაქრობამ გააქვავა.

ათ აგვისტოს კაშკაშა მზიან დღეს, მეხის გავარდნად მოედო მთელ რაიონს მეცხრე კლასელი ბესიკ ჩოკორაიას დაღუპვის ამბავი, ატირდა, აცრემლდა, გლოვაში ჩაიძირა ოჯახი.

გადის წლები ისევ უბედურება დატრიალდა მათ ოჯახში, კოლხი კაცი ეროვნული სულის მატარებელი ენვერ ჩოკორაია წაართვა ულმობელმა ბედისწერამ, გახევდა დედის გული, ვერ გატეხა სულიერად. ისევ არ დაინდო წუთისოფელმა 23 წლის სიცოცხლეს და სიკვდილს შეჭიდებული, ლამაზი სულის და ფიზიკურად შემკობილი გენო ჩოკორაიას სიცოცხლე წაართვა. გაუხარელმა დედამ გაუსაძლისს გაუძლო, ეცადა და გამაგრდა, მაგრამ თითქოს სიკვდილი შემოეჩვიაო, მეოთხე შვილი პეტიაც იმიერში გადასახლდა.

გამწარებული დედა დაიღალა, გატყდა ამდენ ტკივილს გულმა ვერ გაუძლო, ვერ მოერია განგების მწარე განაჩენს და თვითონაც მიიცვალა, სასუფეველი ჰპოვა ვაჟიშვილების გვერდით,

დავრჩი ეულად. მივსტირი მშობლებისა და ძმების მონატრებას. ველოდები არსთა გამრიგე როდის მიითვლის ჩემს ობოლ, გაუხარელ სულს.

ძმებო, დედა! იძინეთ მშვიდად, აგინთებთ სანთლებს, სითბოს არ მოვაკლებ თქვენს ნაადრევ საფლავებს.

***მადონა ჩოკორაია***

# თქვენი არყოფნა გვტკივა, ბიჭებო!!!

მეთუთხმეტედ გამძაფრდა ტკივილი, მეთუთხმეტედ გაძლიერდა გლოვა 2008 წლის 8 აგვისტოს ტკივილიან დღესთან დაკავშირებით.

არასდროს დამავიწყდება 2008 წლის 8 აგვისტოს დატრიალებული ტრაგედია. ხობელი რეზერვისტების მშობლები, რომლებიც თავად აცილებდნენ იმ დღეს შვილებს სენაკის სამხედრო ბაზაში, ხობის პოლიციის შენობის წინ შეგროვილები ხობელებთან ერთად იმის მოლოდინში ვიყავით, რომ ჩვენი ბიჭების მდგომარეობა გაგვეგო... თურმე რამდენი ტკივილი გველოდა წინ...

ეს ის დღე გახლდათ, როცა კვლავ ცეცხლის ალში გაეხვია საქართველო, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ქალაქები და სამხედრო ბაზები... ტკივილმა და მწუხარებამ დაისადგურა ყველგან. მათ შორის ჩვენს პატარა ქალაქ ხობში.

ქალაქის ცენტრში გრგვინვასავთ გაისმა ქალებისა და კაცების თავშეუკავებელი კივილი, გოდება... ყველა ტიროდა და გლოვობდა იმ დღეს დაღუპულ რეზერვისტებს, მაგრამ ვინ იყვნენ, მაშინ არავინ იცოდა... კივილი და ტკივილი ყველას გადაგვედო... როცა გავიგეთ ვინ იყვნენ ისინი, სამძიმარს ვერავის ვეუბნებოდით, მხოლოდ ჩვენს წინ გულწასული დედები და მამები იყვნენ... გადარჩენილი ბიჭების მშობლები სიხარულს ვერ იოკებდნენ, თუმცა ტკივილით განიცდიდნენ სხვების ხვედრს...

ეს თქვენ იყავით იმ ღამის ტკივილები, ჩვენო სიცოცხლემოწყურებულო, გულანთებულო ბიჭებო. თქვენ ხომ ამ ქვეყნად მხოლოდ ცოტა დრო დაყავით.

*„მათ ძალზე ცოტა*
*იცოცხლეს მხოლოდ,*
*დანარჩენი კი სამშობლოსთვის*
*შეუწირიათ!..“*

8 აგვისტო, ეს ტკივილიანი დღე თქვენი ხსოვნის დღეა მიხეილ (მიშიკო) იოსავა, დათა ხურცილავა, გოგიტა ქარჩავა, გოგა ჭითანავა, გოგა ბერაია, ლევან ჭოჭუა, ლევან ტურავა, ზვიად დათუაშვილი. მოგვიანებით ხურჩაში დაღუპული პოლიციელი რამაზ კიტია...

15 წელი გავიდა იმ დღიდან. პატარა ბიჭები უკვე დავაჟკაცებულები იქნებით–„დიდი ბიჭები...“ თქვენ ნამდვილი რაინდები, გმირები ხართ, ნამდვილი პატრიოტები, სამშობლოს სიყვარულს შეწირული ახალგაზრდები...

მართალია, თქვენ ძალიან ნაადრევად წახვედით, მაგრამ „თქვენს ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!..“

დღემდე და მარადჟამს საქართველოს ყველა ეკლესია თუ მონასტერში, ყოველ 8 აგვისტოს მორწმუნენი და თქვენი თაყვანისმცემლები ლოცვას აღავლენენ თქვენი სულის საოხად!

8 აგვისტო თქვენი დღეა!

ქედს ვიხრით თქვენი ხსოვნის წინაშე!!!

თქვენი არყოფნა გვტკივა, ბიჭებო!!!

***ნანი კილასონია***

# „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს“ ხატი ხობში

ქალაქ ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს“ ხატი დაბრძანეს. ხატზე გამოსახულია ხელაპყრობილი და მვედრებელი დედა ღვთისა.

ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოებამ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისს მრევლთან ერთად ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხახუბია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მერის მოადგილეები ესწრებოდნენ.

ხატი ხობის ყოვლადწმიდა სამების ტაძარში დაბრძანეს, რის შემდეგაც კულტურის სახლის მცირე დარბაზში საჯარო ლექცია ჩატარდა.

„ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს“ ხატი ერთი დღით გადაბრძანდა ნოჯიხევის ხარების დედათა მონასტერში, ლოცვის დასრულების შემდეგ მონასტრის საკათალიკოსო სასახლეში გაიმართა შეხვედრა მრევლთან თემაზე: „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“.

4 აგვისტოს ხატი ფოთის საკათედრო ტაძარში გადაბრძანდა.

# მადლობა ამ შესაძლებლობისთვის




**გვინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან სსიპ ქ.ხობის 1 საჯარო სკოლა ჩაერთვება ორ ახალ პროექტში–ესტონურ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს ესტონური საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას სწავლა-სწავლების პროცესში საბაზო საფეხურზე და ორგანიზაცია ნგლისჰ ბოოკ-თან სამინისტროს თანამშრომლობით მიმდინარე „max მათემატიკის“ პილოტირებაში.**

**პროექტის ფარგლებში სკოლამ უკვე მიიღო მათემატიკის მოსწავლის წიგნი სამუშაო წიგნთან ერთად, რომლითაც წარიმართება სასწავლო პროცესი მე-5 (25 კომპლექტი) და მე-6 კლასში (24 კომპლექტი).**

**„max მათემატიკა–მათემატიკის“ კურსი, რომელიც სპეციალურად შექმნილია საერთაშორისო კურიკულუმების მიხედვით.**

**„max მათემატიკა“ სამუშაო წიგნი:**

- **ეხმარება მოსწავლეებს მიაღწიონ საერთაშორისო კურუკულუმით დასახულ მიზნებს.**
- **ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩაერთონ თანამშრომლობით სწავლებაში და შეისწავლონ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით.**
- **სთავაზობს სავარჯიშოებს, რომლებიც მიჰყვება კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე მიდგომას.**
- **უზრუნველყოფს ენის გაუმჯობესებას.**
- **ფერადი ილუსტრაციები და ფოტოები ეხმარება მოსწავლეს ენთუზიაზმითა და ხალისით მიუდგეს მათემატიკის შესწავლას“.**

**მადლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ შესაძლებლობისთვის.**

# ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის ტურნირი

**ხობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო ხობის „კოლხეთი-2“-ის ყოფილი ფეხბურთელის, ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას ხსოვნისადმი მიძღვნილმა პირველობამ ფეხბურთში.**

**ტურნირში ხობის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, ხონის და ქუთაისის საფეხბურთო სკოლების ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობენ.**

**ფინალური შეხვედრები 29 აგვისტოს ხობის პაატა თათარიშვილის სახელობის სტადიონზე გაიმართება.**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.